ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქ გორში, ვერხვების დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ასაშენებელი საბავშვო ბაღის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენისა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით გამარჯვებული კონკურსანტის გამომვლენი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი 03 აპრილი 2012 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) დავით დათაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

ბ) არკადი გოჩაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

გ) თამარ დათაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

დ) გაბრიელ ჭულუხაძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი;

ე) ასმათ მეტრეველი - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქ გორში, ვერხვების დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ასაშენებელი საბავშვო ბაღის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენისა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით 2012 წლის 27 მარტს გამოცხადებულ N394 კონკურსში შემოტანილი დოკუმენტაციის განხილვის შესახებ.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ - დავით დათაშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი გაბრიელ ჭულუხაძე.

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა გაბრიელ ჭულუხაძემ მოახსენა საკონკურსო კომისიას:

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, 2012 წლის 27 მარტს გამოცხადებულ N394 კონკურსში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - სს ,,სპეცმონოლითი"-მ, რომლის მიერ წარმოდგენილმა სატენდერო წინადადების ფასმა შედგინა 17700 (ჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის წევრებმა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებმა ხელი მოაწერეს ხელწერილს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კომისიის წევრთა შეფასებებით მაქსიმალური ქულებით გამარჯვებულად გამოვლინდა სს ,,სპეცმონოლითი", რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას თუმცა სს ,,სპეცმონოლითის" მიერ არ არის წარმოდგენილი ცნობა, რომელიც დაადასტურებს რომ ის არის დღგ-ს გადამხდელი, რის გამოც კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს წერილობით შეატყობინონ პრეტენდენტს და თუ ის დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს შესაბამის ცნობას ხელშეკრულება გაუფორმდეს დღგ-ს გარეშე.

კომისიამ დაადგინა:

1. საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებებით სს ,,სპეცმონოლითი“ გამოცხადდეს გამარჯვებულად ქალაქ გორში, ვერხვების დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ასაშენებელი საბავშვო ბაღის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენისა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში.

2. სს ,,სპეცმონოლითი“-ს მიეცეს ვადა 2012 წლის 10 აპრილამდე წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა იმის დასადასტურებლად რომ ის წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს, წინააღმდეგ შემთხვევაში სს ,,სპეცმონოლითი“-სთან გაფორმდეს ხელშეკრულება დღგ-ს გარეშე.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს გაბრიელ ჭულუხაძეს გაუგზავნოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შესაბამისი წერილობითი მოთხოვნა სს ,,სპეცმონოლითი“-ს რათა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა იმის დასადასტურებლად რომ ის წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით დათაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: პრკადი გოჩაშვილი

თამარ დათაშვილი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: გაბრიელ ჭულუხაძე

ასმათ მეტრეველი